IDS BORJOMI
GEORGIA

ტექნიკური დავალება ბორჯომის #54 ს ჭაბურღილის საკაპტაჟე შენობის რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულებაზე

ბორჯომი 2025

ტექნიკური დავალება ითვალისწინებს მოხდეს ბორჯომის მუნიციპალიტეტში არსებული #54 ს მინერალური წყლის მოსაპოვებელი ჭაბურღილის საკაპტაჟე ნაგებობების რეაბილიტაცია თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით.

ნაგებობა მოწყობილი იქნა წინა საუკუნის შუა პერიოდში და წარმოადგენს მეტალის ცხაურით შემოზღუდულ შვიდკუთხა (septagon) პლატფორმას, ფართობით - 8 $м^2$ და ფერდის ზომით: 1.6 მ. რაც ვერ პასუხობს თანამედროვე სანიტარულ სტანდარტებს. ამის გარდა, აღნიშნულ ჭაბურღილზე გათვალისწინებულია მოეწყოს მინერალური წყლის მახასითებლების საზომი აპარატურა, რომლის ფუნქციონირებაც საჭიროებს უზრუნველყოფილი იქნეს ტემპერატურული ცვალებადობის დაბალი ციკლურობა და ჰიგიენა. ქვემოთ იხ. ჭაბურღილის ფოტო და გაბარიტები.

ბურღილი №54S



რეაბილიტაციის ფარგლებში გათვალისწინებულია მოხდეს ჭაბურღილის არსებული ნაგებობის გარე ზედაპირის შეფუთვა 50 მმ. სისქის სენდვიჩ-პანელებით, ისე, რომ არ დაირღვეს ფერდების და სახურავის სიბრტყითი მახასიათებლები. იგულისხმება, რომ ჩაიჭრება ზედმეტი ცხაურები და კუთხოვანები და არსებულ დგარებზე დადუღდება სენდვიჩ-პანელის სამონტაჟო გრძივები. გათვალისწინებულია 200 მმ. ბეტონის ცოკოლის ფუძის მოწყობა, რაც იზოლირებულს გახდის სენდვიჩ-პანელებს ზამთრის პირობებში. თითოეულ ნაგებობაზე გათვალისწინებულია მოეწყოს ალუმინის კარები და სავენტილაციო ფანჯარა. შიგნით, იატაკი უნდა მოპირკეთდეს ხელოვნური გრანიტის ფილებით. მოეწყობა ტრაპი. ელექტრო-ფარი და განათება.

დანართის სახით წარმოდგენილია შესასრულებელი სამუშაოების სრული ხარჯთაღრიცხვა (იხ. დანართი).

სამუშაოები საჭიროა შესრულდეს ჭაბურღილების მუდმივ ექსპლუატაციაში ყოფნის პირობებში.

შერჩეულმა მშენებელმა (კონტრაქტორმა) კომპანიამ უნდა უზრუნველყოს თავისი რესურსების მობილიზება, სამშენებლო სამუშაოების განხორციელება მაღალი ხარისხით, მოცემული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად. კონტრაქტორმა თავისი რესურსებისა და სამუშაო ძალის გათვალისწინებით უნდა დააზუსტოს სამუშაოთა განხორციელების გრაფიკი და მეთოდოლოგია. აღნიშნული გრაფიკი მოიაზრება, როგორც კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და შესრულებული უნდა იქნას კონტრაქტორის მიერ.

ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული და ხარჯთაღრიცხვაში ჩამოთვლილი სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია 2025 წლის მე-4 კვარტალში. უპირატესობა მიენიჭებათ კანდიდატს, რომლიც შეძლებს სამუშაოების შესრულებას შემჭიდროვებულ ვადებში, თუმცა ვადები არგუმენტირებული უნდა იყოს სამუშაოების შესრულების დეტალური გეგმით.

დამატებითი კითხვების ან დაზუსტებების შემთხვევაში გთხოვთ მოგვმართოთ.

ლაშა გვაზავა - lgvazava@borjomi.com შპს IDS ბორჯომი საქართველო,

ვახტანგ შარაშენიძე - vsharashenidze@borjomi.com სს ბორჯომმინწყლები

მისამართი:IDS ბორჯომი საქართველო,

თბილისი, ბიძინა კვერნაძის ქუჩა N 10

სს ,,ბორჯომმინწყლები“

ბორჯომი, ბარათაშვილის ქუჩა N5

www.borjomi.com